ლუიზა ხაჭაპურიძე, თეონა ხუფენია

ლიტურგიკული მისტერია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

ანოტაცია: დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის, ნაკლებადაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი. მან არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზა დაუსახა ქართველ ერს, არამედ, აღუდგინა რელიგიური ცნობიერება და შთაუსახა მებრძოლი ქრისტიანობის სული. მთელი მისი შემოქმედება მართლმადიდებლური სულითაა გაჟღენთილი. იგი ქმნის ახალ პოეტურ ფრაზებს, რომელიც უფრო გამუსიკებული ლიტურგიკაა, ვიდრე უბრალოდ პოეზია. მაშინ როცა მისი თანამედროვეები რელიგიის ხსენებასაც ერიდებოდნენ, იგი ქმნის მუსიკალურ ლოცვებს: წმიდა გიორგისადმი, წმიდა ნინოსადმი, სავედრებელს ერისადმი, წერს ლექსებს სათაურით: პროსკომიდია, აღდგომა, მელქისედეკი - **მეფე სალიმისა, ბეთანია, უძღები შვილი.**ზ. გამსახურდია არა მარტო პოეტურ ლოცვებს უძღვნის სათაყვანებელ წმინდანებს არამედ, საღვთო ლიტურგიასაც პოეტურ სახეს აძლევს. ამის დასტურია ლექსები “ნათლისღება”, “მანანასადმი”… რაც შეეხება ლექსს "მამა", იგი უთუოდ მაცხოვრის გეთესემანიის ბაღში აღვნელილ ლოცვას მოგვაგონებს.მის პოეზიაში ხშირია სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ზ. გამსახურდია თვით თარგმნის დროსაც სათარგმნ ობიექტად იღებს ქრისტიანულ სულთან ახლოსმდგომ მწერლებს, წმინდანებს, მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას.სათარგმნ მასალასთან მწერლის სულიერი კავშირის გამოვლინების ერთ-ერთი ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ მართლმადიდებლობის დიდი მამების ათანასე დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა ნაშრომები.ზვიად გამსახურდიას ცხოვრება პოეზიით, საქმითა და სიტყვით მარად უფლის საკურთხევლის წინაშე მდგომი მლოცველის მოღვაწეობაა.

საკვანძო სიტყვა: *პოეტური ლოცვა.*

Luiza Khachapuridze, Teona Khupenia

Liturgical Mystery in Zviad Gamsakhurdia's Poetry

Annotation: For today's Georgian society, the attitude of Zviad Gamsakhurdia to true Orthodox faith is less well known. He not only showed to the Georgian nation the way to gain state independence but he restored the Religious consciousness to Georgian people and Inspired by the spirit of Christianity. All his works are full of orthodox spirit. He creates new poetic phrases, which are more intensely melodic liturgica than just poetry. While his contemporaries avoid mentioning religion, he creates musical prayers: to Saint George, to Saint Nino , prayers for the nation… He writes the poems under the titles: Proscomidia, Easter, Melkesidek – King of Salim, Betania, Prodigal son. Z. Gamsakhurdia not only dedicates poetic prayers to his devout saints but he also gives the poetic form to the Holy liturgy. The poems are proof of this: "Epiphany", "For Manana". As for the poem "Father", he resembles the prayer of the Savior in the Garden of Gethsemane.

Key Word: *Poetic Prayer*

დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის, მათ შორის მართლმორწმუნე მრევლისათვის, ნაკლებადაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი. მან არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზა დაუსახა ქართველ ერს, არამედ, აღუდგინა ქართველ ხალხს რელიგიური ცნობიერება და შთაუსახა მებრძოლი ქრისტიანობის სული.

„ქრისტიანული იდეალი გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, მხოლოდ მას შეუძლია თანამედროვე ადამიანი დეგრადაციისგან იხსნას, ამიტომაც ჩემს ხალხში ამ იდეალთა აღორძინება ცხოვრების მიზნად დავისახე, აი რა არის ჩემი ბრძოლის არსი!“ (ზ. გამსახურდია, 1999). ამ შეგონებითაა სავსე ზვიად გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობა. დიახ, რელიგიური თვალსაზრისით მისი შემოქმედება და ცხოვრების გზა ერთმანეთის თანმდევია.

შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილის შემდეგ ქართული ლირიკის საგანძურში თითქმის არ მოიპოვება ქრისტიანულ-ბიბლიური თემატიკის ისეთი შთამბეჭდავი ვარიაციები, როგორიც ეს ზვიად გამსახურდიას პოეზიაში გვხვდება.

მთელი მისი შემოქმედება მართლმადიდებლური სულითაა გაჟღენთილი. იგი ქმნის ახალ პოეტურ ფრაზებს, რომელიც უფრო გამუსიკებული ლიტურგიკაა, ვიდრე უბრალოდ პოეზია. მაშინ როცა მისი თანამედროვეები რელიგიის ხსენებასაც ერიდებოდნენ, იგი ქმნის მუსიკალურ ლოცვებს: წმიდა გიორგისადმი, წმიდა ნინოსადმი, სავედრებელს ერისადმი:

წმიდა გიორგი

„წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არის,
შემუსრე, უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი, გეორგია!..“

წმიდა ნინო

„ნათლის ანგელოსს ჰგავდი, როს წარმართთ დაგვიზავდი...
დედავ და ემბაზო ჩვენო, ნინო, ქართლს ბენლისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა შინა, მარად გვიძღოდე წინა!“.

ლოცვა ერისადმი

„უფალო, გვედრი, დაიფარე მამული ჩემი,
შენი წილხვდომილი, კვართმომადლებული,
მარად სხივოსანთა უკვდავი თემი,
სადაც წარმოგზავნე გარძიმი ქებული

და ოქროს საწმისის მადლი მზიური

აღმოაცისკროვნე, ვით წყარო ცხოველი,

რათა ზიარებით აღზევდეს ყოველი...

შენი გარძიმია ტურფა ივერია,

მისი განმართლება შენს ცაზე სწერია,

შენთანა დაფლული, ოთხი დღისა მკვდარი,

ქრისტე, აღადგინე და მოეც ჯვარი,

ცათა დიდება ხარ და თემთა მთენი,

უფალო, აკურთხე სამკვიდრო შენი!"(ზ. გამსახურდია, 1989).

აქ უთუოდ „ერზე ლოცვა" გაგვახსენდება, შდრ.: ***„აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი.."***

წერს ლექსებს სათაურით: *პროსკომიდია, აღდგომა, მელქისედეკი* - ***მეფე სალიმისა, ბეთანია, უძღები შვილი (ეს უკანასკნელი ბიბლიური სიუჟეტის მისეული პოეტური ვარიანტია)...***

ზ. გამსახურდია არა მარტო პოეტურ ლოცვებს უძღვნის სათაყვანებელ წმინდანებს არამედ, საღვთო ლიტურგიასაც პოეტურ სახეს აძლევს. მისი ლექსი „ნათლისღება" ამის დასტურია:

მაგ. ნათლისღების ტიპიკონში ვკითხულობთ: ***„რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გიღებიეს და ქრისტე შეგიმოსიეს, ალილუია".*** ამავე დროს მღვდელი მოსანათლს ფეხებზე და ყურებზე სცხებს მირონს სიტყვებით: ***"სლვად გზასა სიმართლისასა, სმენად სარწმუნოებისა"***

ახლა ზვიადს მოვუსმინოთ:

„ხელთა შენთა შემქმნეს და დამბადეს მე,

დღემ განგინათლა არყოფნის ღამე,

ცა იხილავს თვალთა შენთა ახელილთა სულიწმიდის სახელითა.

სლვად გზასა სიმართლისასა, სმენად სარწმუნოებისა, იცხე მირონი,

გულს შთაიბეჭდე სიტყვანი სათნოებისა არ სამვირონი,

რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გიღებიეს,

სული შენი უქრობ კელაპტრად ჰგიეს,

უკვდავებად აღიმსთე და შეიმოსე ქრისტე!"(ზ. გამსახურდია, 1989).

საღმრთო ლიტურგიის მისტერია იგრძნობა ლექსში "სონეტი მანანას". წირვისას მღვდელი ჯერ საკმეველს კანკელში ჩასვენებულ ხატებს უკმევს, შემდეგ მრევლს და ამბიონზე დაბრუნებული აღებს აღსავლის კარს. წიგნში "წესი დაგანმარტება საღმრთო ლიტურგიისა"(1993) ვკითხულობთ: "ამ დროს შუატაძარში მყოფნი გულში უნდა ამბობდნენ: ***„წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმეველი შენ წინაშე"***. ეს რიტუალი ლექსში ასე ჟღერს:

„გამართე მზერა, მოიმარჯვე იმედის ფარი,

გრძნობათა შენთა საკმეველი უკმიე ხატებს

და როს დიდებით განიხვნება აღსავლის კარი,

შეიწირავენ ლოცვას შენსას მოანდამეტეს...“ (ზ. გამსახურდია, 1989).

რაც შეეხება ლექსს "მამა", იგი უთუოდ მაცხოვრის გეთესემანიის ბაღში აღვნელილ ლოცვას მოგვაგონებს: ***„მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათე, 26,29).*** აქ ლირიკული პერსონაჟი ახალ შინაგან სიცოცხლეს ანიჭებს ბიბლიურ ეპიზოდებს და დამოუკიდებლად აგრძელებს თავის არსებობას. ამასთანავე ლექსი ისეთი ღრმა შინაგანი სევდით არის აღსავსე, როგორსაც მოსალოდნელი განსაცდელის ხილვა აღძრავს ხოლმე ადამიანში:

„თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,

უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.

მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,

უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.

ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,

შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი,

ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,

გვედრი, შემიწყალე, ძეო დავითისო!“ (ზ. გამსახურდია, 1989).

ეს არის სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ეს შეგრძნებები ხშირია მის პოეზიაში. მაგ. ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსის ქვეთავში "ეპიტაფია" ვკითხულობთ:

„ვჭვრეტ საღამოს - ნიმბიანს,დანისლულს,

ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს...

შენკენ მომაქანებს ფიქრის ჩქარი წვა მე

რარიგ მეუცხოვა საკუთარი გვამი...

ვდუმვარ და არა აქვს ძალა ჩემს სტრიქონებს,

ბინდიან ფიქრებში ქარი თუ მიგონებს...

რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,

ნექტარიც წავიღე და შხამიც იმდენი...

რარიგ ვეუცხოვე მიწის გაშლილ მკლავებს,

დასცქერის გოლგოთა გაძარცვულ საფლავებს...“ (ზ. გამსახურდია, 1989).

ზ. გამსახურდია თვით თარგმნის დროსაც სათარგმნ ობიექტად იღებს ქრისტიანულ სულთან ახლოსმდგომ მწერლებს, წმინდანებს, მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სათარგმნ მასალასთან მწერლის სულიერი კავშირის გამოვლინების ერთ-ერთი ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ მართლმადიდებლობის დიდი მამების ათანასე დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა ნაშრომები. მიგვაჩნია, რომ ამ წმინდანის ცხოვრება და ტკივილები ეტყობა განსაკუთრებით ახლოს იყო ზ. გამსახურდიას სულთან, ამიტომაც იკვეთება მისი საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი.. სამშობლოდან გაძევებული, დევნილობაში მყოფი წმინდანის სულიერ განცდებში იგი თითქოს თავის მომავალ ბედისწერას ხედავს: ***„...ჩემი ახლობლები საფლავებში განისვენებენ. მხოლოდ სამშობლოღა დამრჩა, მაგრამ ბოროტმა დემონმა ჩემზე სიძულვილის შავი ტალღები აღმართა და იქიდანაც გამაძევა; ახლა მე მარტოხელა მგზავრი ვარ, ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ჩემი ნეტარება. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის! ნეტავ მეღირსოს, ღმერთო, რომ მრავალი ტანჯვისა და მწუხარების საზღაურად განსვენება ვპოვო შენში!“*** (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ფიქრები დევნილობაში)...(ზ. გამსახურდია, 1994).

ზვიად გამსახურდიას ცხოვრება პოეზიით, საქმითა და სიტყვით მარად უფლის საკურთხევლის წინაშე მდგომი მლოცველის მოღვაწეობაა. მან შეძლო, ათეიზმის ხანაში ტაძრებში მინავლებული საღვთო ლიტურგია პოეტური სიტყვით გაეჟღერებინა ქართულ საზოგადოებაში, თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით იგი საქართველოს ისტორიაში რჩება ,,ლეგენდად,, ეროვნული მოძრაობის მუხტის მომტან და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ხორცშემსხმელ ,,ლეგენდად".

ლიტერატურა:

ახალი აღთქუმაი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003

გამსახურდია ზ. 1989. *მთვარის ნიშნობა.* თბ.

გამსახურდია ზ. 1990. *წერილები და ესეები.* თბ.

გამსახურდია ზ. 1994. *რჩეული თარგმანები,* თბ.

გამსახურდია ზ. 1995. *დილემა კაცობრიობის წინაშე.* თბ.

გამსახურდია, ზ. 1999. *მართლმადიდებლობის შესახებ,* თბ.

წესი და განმარტება საღვთო ლიტურგიისა, თბ., 1993.